ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მამუკა ნოზაძე

კოლეგიის წევრი - ანა კოტეტიშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი - 14.12.23

შეკითხვის ავტორი - ადვოკატი /სიითი №/

შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი - 010/23

I. შეკითხვა

სამოქალაქო დავა მიმდინარეობს არასრულწლოვან შვილიშვილს (პირობითად ანას), რომლის წარმომადგენლობის უფლებამოსილება გასცა დედამ (პირობითად ნანამ) ადვოკატზე (პირობითად ნინო) მოპასუხეები არიან: არასრულწლოვნის მამა (პირობითად მამუკა) და არასრულწლოვნის ბებია (მამის დედა პირობითად ნენე). არასრულწლოვნის მამას რომელიც მოპასუხეა ყავს ორი ადვოკატი. დავის საგანს არ აქვს მნიშვნელობა თუმცაღა პირობითად ავიღოთ ვინდიკაცია. დავის მიმდინარეობისას არასრულწლოვნის მამამ/მამუკამ როგორც არასრულწლოვნის წარმომადგენელმა (და არა როგორც დამოუკიდებლად მამუკამ) რწმუნებულება გააფორმა მის ადვოკატებზე, აღნიშნულ რწმუნებულებაში არასრულწლოვნის მამამ მიუთითა, რომ: ის მინდობილობას გასცემს როგორც არასრულწლოვნის (როგორც მოსარჩელეს) მამა ადვოკატებზე. ადვოკატებმა აღნიშნული რწმუნებულება წარადგინდეს

სასამართლოში და მოითხოვეს საქმისწარმოების შეწყვეტა რადგანაც მათაც აქვს წარმომადგენლობა არასრულწლოვნაზე. შეკითხვა:

1) არის თუ არა სახეზე ადვოკატისთვის/ადვოკატებისათვის, რომელთაც წარადგინეს რწმუნებულება საქმეში ინტერესთა კონფლიქტი სახეზე?

2) შეუძლია თუ არა ადვოკატს მონაწილეობა მიიღო/გააგრძელოს სასამართლო სხდომაში აღნიშნული რწმუნებულების მის მიერ სასამართლოში წარდგენის შემდგომ?

3) იმ შემთხვევაში თუ კი აღნიშნულს განახორციელებდა მოსარჩელე არასრულწლოვნის დედა (მოპასუხე მამის ადვოკატებზე როგორც კანონიერ წარმომადგენელი) შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში გააფორმებს რწმუნებულებას, მოპასუხე მხარის ადვოკატებს აქვთ უფლება მონაწილეობა მიიღონ სასამართლო დავაში?

II. ანალიზი

ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ პირველ და მეორე შეკითხვებში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია, ინტერესთა კონფლიქტის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულია: *„ადვოკატს უფლება არა აქვს პროფესიული რჩევა მისცეს ან წარმოადგინოს ორი ან მეტი კლიენტი ერთი და იგივე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეზე, თუკი აღნიშნული კლიენტების ინტერესებს შორის არსებობს ინტერესთა კონფლიქტი ან მისი წარმოქმნის მნიშვნელოვანი საფრთხე“.*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი კი ადგენს: *„ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.“*

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი განმარტავს: *„ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე.“*

ინტერესთა კონფლიქტი და მისი წარმოქმნის საფრთხე შესაძლებელია არსებობდეს: (1) ადვოკატის რამდენიმე კლიენტს შორის; (2) ადვოკატსა და კლიენტს შორის; (3) ადვოკატის ყოფილ კლიენტსა და ამჟამინდელ და/ან პოტენციურ კლიენტს შორის; და (4) ადვოკატის კლიენტსა და მესამე პირს შორის, რომელთანაც დაკავშირებულია ადვოკატის ინტერესები.

ადვოკატის შეკითხვის თანახმად, მას აინტერესებს წარმოეშობათ თუ არა ადვოკატებს ინტერესთა კონფლიქტი, თუ მათი კლიენტი, რომელიც სამოქალაქო დავაში არის მოპასუხე

მხარე, მათზე მინდობილობას გასცემს, როგორც არასრულწლოვანი ბავშვის წარმომადგენელი და მიანიჭებს მათ ბავშვზე წარმომადგენლობით უფლებამოსილებას, თუმცა აღნიშნული არასრულწლოვანი ბავშვი, მიმდინარე სამოქალაქო დავაზე არის მოსარჩელე და ადვოკატებმა აღნიშნული მინდობილობის საფუძველზე მოითხოვეს საქმისწარმოების შეწყვეტა სასამართლოში, ასევე აქვთ თუ არა ადვოკატებს უფლება, რომ აღნიშნული მინდობილობის წარდგენის შემდგომ მონაწილეობა მიიღონ სასამართლო სხდომაში?

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ კლიენტისთვის კვალიფიციური მომსახურეობის გაწევა ვერ მიიღწევა მაშინ, როდესაც ადვოკატს, ორი ან მეტი კლიენტის დაცვისას, იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეზე, კლიენტთა ურთიერთგამომრიცხავი მიზნებით, წარმოეშვება ინტერესთა კონფლიქტი. კონკრეტულ შეკითხვაში, დგინდება რომ მიმდინარე სამოქალაქო დავაში მოსარჩელე არის არასრულწლოვანი ბავშვი, ხოლო მოპასუხე მხარეს წარმოადგენენ მოსარჩელის მამა და ბებია (მამის მხრიდან), შესაბამისად აშკარაა, რომ არასრულწლოვან ბავშვსა და მამამისს აღნიშნულ საქმეზე აქვთ ურთიერთდაპირისპირებული პოზიციები. შეკითხვის თანახმად არ ჩანს, რომ სარჩელის ავტორის მამას სასამართლო გადაწყვეტილებით შეზღუდული აქვს წარმომადგენლობითი უფლებამოსილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1205 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლო წარმოების განმავლობაში საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე და 1201-ე მუხლები ,თუმცა მოცემულ შემთხვევაში მინდობილობის გაცემა მისივე ადვოკატებზე, როგორც სარჩელის ავტორის წარმომადგენლებზე აზიანებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რადგანაც იქმნება სიტუაცია, როდესაც ერთ მხარეს არის არასრულწლოვანი ბავშვი, რომელიც არის სარჩელის ავტორი და მეორე მხარეს სარჩელის ავტორის მამა, რომელიც სამოქალაქო დავაში არის მოპასუხე მხარე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში სარგებლობს იმ გარემოებით, რომ მას არ აქვს შეზღუდული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება და როგორც სარჩელის ავტორის წარმომადგენელი მინდობილობას უფორმებს საკუთარ ადვოკატებს, როგორც არასრულწლოვანი ბავშვის წარმომადგენელებს, რათა მოხდეს საქმისწარმოების შეწყვეტა.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატ-კლიენტს შორის ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად და კეთილსინდისიერად, სხვისთვის ზიანის მიყენების გარეშე (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლი). ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე (საქმე №ას-1338-1376-2014), რომ „ყველა მართლწესრიგი სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპზე აფუძნებს და ამ პრიციპს ნორმატიულ კონცეფციად განიხილავს. კეთილსინდისიერება გულისხმობს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას, თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება.“

მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატებს წარმოეშვათ ინტერესთა კონფლიქტი, რადგანაც ისინი ერთდროულად არიან, როგორც მოპასუხე მხარის ადვოკატები, ასევე მოსარჩელის წარმომადგენლები, რაც დაუშვებელია. ასეთ შემთხვევაში ადვოკატები ვეღარ გააგრძელებენ ორივე კლიენტის წარმომადგენლობას, რადგანაც ერთი და იმავე სასამართლო წარმოებისას მოუწევთ ურთიერთდაპირსპირებული პოზიციების დაცვა. ადვოკატის მიერ აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტებიდან ირკვევა, რომ მინდობილობის მიღების შემდგომ ადვოკატებმა წარადგინეს აღნიშნული მინდობილობა სასამართლოში და მოითხოვეს საქმისწარმოების შეწყვეტა, შესაბამისად ადვოკატები მოქმედებენ ერთი კლიენტის, კერძოდ კი მოპასუხე მხარის ინტერესებიდან გამომდინარე. ეთიკის კომისიის თანახმად, დაუშვებელია რომ ადვოკატმა იმავე პირის სახელით შეწყვიტოს საქმისწარმოება, რომელმაც მისი კლიენტის წინააღმდეგ შეიტანა სარჩელი. აღნიშნულის ფონზე ვერ მიიღწევა ორივე კლიენტის თანაბარი დაცვა და ადვოკატებმა უნდა შეწყვიტონ თითოეული კლიენტის საქმის წარმოება, რადგანაც სახეზეა ინტერესთა კონფლიქტი.

რაც შეეხება მესამე შეკითხვას, ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატის მიერ აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განსახილველია, შემდგომი ნორმების გათვალისწინებით:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს: *„ინტერესთა კონფლიქტი სახეზეა, როდესაც ადვოკატის ვალდებულებები ორი ან მეტი კლიენტის წარმომადგენლობისას ერთი და იმავე ან ერთმანეთთან დაკავშირებულ საქმეში ურთიერთსაწინააღმდეგოა ან არსებობს ასეთი წინააღმდეგობის წარმოშობის მნიშვნელოვანი საფრთხე.*"

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-6 მუხლის მე-5 ნაწილი განმარტავს: *„ადვოკატი ვალდებულია შეწყვიტოს ყველა კლიენტის საქმის წარმოება, რომელთა ინტერესებსაც იგი წარმოადგენდა, თუკი კლიენტებს შორის წარმოიქმნა ინტერესთა კონფლიქტი მოცემულ ან დაკავშირებულ საქმეზე და არსებობს ადვოკატის მიმართ ნდობის დარღვევის და/ან კონფიდენციალობის ხელყოფის საფრთხე."*

შეკითხვის მიხედვით, ადვოკატთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას დებს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი, რომელიც საქმეში არ არის დამოუკიდებელი მხარე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1198 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით, მშობლები არიან არასრულწლოვანი შვილების კანონიერი წარმომადგენლები და განსაკუთრებულ რწმუნებულებათა გარეშე გამოდიან მათი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში. შესაბამისად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესში მშობლები მხარეები არიან, თუკი ამავე კოდექსის 1205 პრიმა მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ შეჩერებული არ აქვთ სასამართლო წარმოების განმავლობაში ბავშვის წარმომადგენლობის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1200-ე და 1201-ე მუხლების შესაბამისად.

კომისია აღნიშნავს, რომ აღნიშნულ შემთხვევაში ბავშვის და მშობლის ნება თანხვედრაში უნდა იყოს, რათა ადვოკატმა, ეთიკური სტანდარტების დაცვით, შეძლოს ორივე მათგანის

ინტერესების დაცვა. თუკი ბავშვის და მშობლის ინტერესი ერთმანეთს დაშორდა, ადვოკატმა ორივე კლიენტის დაცვა უნდა შეწყვიტოს.

III. დასკვნა:

პირველ და მეორე კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოების თანახმად, ადვოკატებმა უნდა შეწყვიტონ სარჩელის ავტორის, როგორც ბავშვის, ასევე მოპასუხე მხარის წარმომადგენლობა, რადგანაც მათი ინტერესები ერთი და იმავე საქმეში ერთმანეთს უპირისპირდება, რითიც ადვოკატებს წარმოეშობათ ინტერესთა კონფლიქტი.

მესამე კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური გარემოებების თანახმად, თავად ადვოკატმა უნდა განსაზღვროს ინტერესთა კონფლიქტის წარმოშობის ალბათობა და მოსალოდნელი რისკი, რაც მისი პირდაპირი ვალდებულებაა. თუ ადვოკატი შენიშნავს, რომ ბავშვისა და მშობლის ინტერესები ურთიერთდაპირისპირებულია, მაშინ მან ორივე კლიენტის დაცვა უნდა შეწყვიტოს.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/